| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 105 | 1-27-2232 01 18761 | ქაღალდის ხე (ბრუსონეტია) | | ცალი | 16.11 | 8 | 128.86 | 128.86 | | | | | |
| 106 | 1-27-2232 01 18764 | ნეკერჩხალი იაპონური | | ცალი | 11.48 | 5 | 57.38 | 57.38 | | | | | |
| 107 | 1-27-2232 01 18767 | ბიოტა აღმოსავლეთის | | ცალი | 9.20 | 3 | 27.61 | 27.61 | | | | | |
| 108 | 1-27-2232 01 18769 | გლედიჩია | | ცალი | 4.60 | 1 | 4.60 | 4.60 | | | | | |
| 109 | 1-27-2232 01 18771 | ნიფელი | | ცალი | 66.27 | 1 | 66.27 | 66.27 | | | | | |
| 110 | 1-27-2232 01 18774 | იუკა | | ცალი | 13.81 | 1 | 13.81 | 13.81 | | | | | |
| 111 | 1-27-2232 01 18777 | დაფნა გაფორმებული ბუჩქი | | ცალი | 6.44 | 35 | 225.50 | 225.50 | | | | | |
| 112 | 1-27-2232 01 18786 | პალმა ფორჩუნის ტრახიკარპუსი | | ცალი | 13.81 | 46 | 635.06 | 635.06 | | | | | |
| 113 | 1-27-2232 01 18792 | ბზა რიგობრივი | | ცალი | 3.68 | 223 | 820.98 | 820.98 | | | | | |
| 114 | 1-27-2232 01 18793 | ვერხვი შავი | | ცალი | 6.91 | 2 | 13.81 | 13.81 | | | | | |
| 115 | 1-27-2232 01 18794 | ალვის ხე | | ცალი | 6.44 | 6 | 38.66 | 38.66 | | | | | |
| 116 | 1-27-2232 01 18795 | კვიდო | | ცალი | 1.10 | 25 | 27.61 | 27.61 | | | | | |
| 117 | 1-27-2232 01 18796 | მელია ჰიმალაური | | ცალი | 18.41 | 1 | 18.41 | 18.41 | | | | | |
| 118 | 1-27-2232 01 18797 | კატალპა | | ცალი | 11.04 | 3 | 33.13 | 33.13 | | | | | |
| 119 | 1-27-2232 02 20091 | კვიპაროსი | | ცალი | 100.00 | 1 | 100.00 | 100.00 | | | | | |
| 120 | 1-27-2232 02 21474 | კვიპაროსი | | ცალი | 4950.00 | 30 | 4950.00 | 4950.00 | | | | | |
| | | ჯამი | | | 224649.5751 | 2220 | 265858.77 | 163001.2 | | | | | |

08 საცნობარო მუხლი ამორტიზირებული ძირითადი აქტივები

| | ანგარიში + | დასახელება | წელი | ზომის ერთეული | ფასი | ფაქტ. ოდენობა | | | დანაკლისი | | ნამეტი | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | რაოდენობა | თანხა | | რაოდ | თანხა | რაოდ | თანხა | |
| 121 | 1-22-22216 18259 | კომპიუტერი | 0 | ც | 1364 | 1 | 1364 | 0 | | | | | |
| 122 | 1-22-22216 18260 | სისტემური ყუთი | 0 | ც | 512 | 1 | 512 | 0 | | | | | |
| 123 | 1-22-22216 18284 | კომპიუტერის კომპლექტი | 0 | ც | 786 | 2 | 1572 | 0 | 2 | | | | ძიებაში |
| 124 | 1-22-22216 18322 | ლეპტოპი lenovo Z50-75 | 0 | ც | 759 | 1 | 759 | 0 | 1 | 0 | | | ძიებაში |
| 125 | 1-22-22216 18327 | კომპიუტერის კომპლექტი lenovo H50-55 LI2241 Monitor | 0 | ც | 777.79 | 1 | 777.79 | 0 | 1 | 0 | | | ძიებაში |
| 126 | 1-22-22216 18336 | ლეპტოპი lenovo Z50-75 | 0 | ც | 759 | 1 | 759 | 0 | | | | | ჩამოსაწერი |
| 127 | 1-22-22216 18340 | ფოტოაპარატი Canon Eos /600 Df-s | 0 | ც | 1121 | 1 | 1121 | 0 | 1 | 0 | | | ძიებაში |
| 128 | 1-22-22216 18343 | ლეპტოპი lenovo essential E5180 | 0 | ც | 1130 | 1 | 1130 | 0 | 1 | 0 | | | ძიებაში |
| 129 | 1-22-22216 18269 | გული | 0 | ც | 1052 | 1 | 1052 | 0 | | | | | |
| 130 | 1-22-22216 18275 | კონდენციონერი MIDEA MS11D-18 HRN1 | 0 | ც | 950 | 1 | 950 | 0 | | | | | |
| 131 | 1-22-22216 18286 | ურიკა მოტობლოკის | 0 | ც | 700 | 1 | 700 | 0 | | | | | |
| 132 | 1-22-22216 18310 | ვიდეო სათვალთვალო სისტემა | 0 | ც | 300 | 1 | 300 | 0 | | | | | |
| 133 | 1-22-22216 18346 | ფერადი პრინტერი Epson | 0 | ც | 728 | 1 | 728 | 0 | | | | | |
| 134 | 1-22-22216 18349 | ლეპტოპი Acer | 0 | ც | 1259.99 | 1 | 1259.99 | 0 | 1 | | | | ძიებაში |
| 135 | 1-22-22216 18350 | კომპიუტერი დესკტოპ hp (კომპლექტი) | 0 | ც | 1137 | 2 | 2274 | 0 | | | | | |
| 136 | 1-22-22216 18351 | ფოტოაპარატი Canon Eos /1300 Df-s | 0 | ც | 1230 | 1 | 1230 | 0 | | | | | |
| 137 | 1-22-22216 18331 | დიზელის ძრავიანი ტრაქტორი | 0 | ც | 4900 | 1 | 4900 | 0 | | | | | |
| 138 | 1-22-22216 18294 | ზარი ბრინჯაოს | 0 | ც | 650 | 1 | 650 | 0 | | | | | |
| 139 | 1-22-22216 19056 | ვიდეო კონტროლის სისტემა | 2019 | ც | 2490 | 1 | 2490 | 0 | | | | | |
| 140 | 1-24-13118522 | პარკი პროგრამა "ორისი" | 2012 | ცალი | 595 | 1 | 595 | 0 | | | | | ჩამოსაწერი |
| 141 | 1-22-22217 18489 | გიორგი სამანიშვილის ბარელიეფი | 2013 | ცალი | 600 | 1 | 600 | 0 | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 142 | 1-22-22217 18490 | ბანერი | 2013 | ცალი | 700 | 1 | 700 | 0 | | | | | |
| 143 | 1-22-22217 18491 | ვიდეოკამერა (comaqt full HD Memory cam) | 2015 | ცალი | 525 | 1 | 525 | 0 | | | | | |
| 144 | 1-22-22217 18495 | პორტატული კომპიუტერი | 2014 | ცალი | 680 | 1 | 680 | 0 | | | | | |
| 145 | 1-22-22217 18503 | ვიდეო რეგისტრატორი | 2016 | ცალი | 600 | 1 | 600 | 0 | | | | | |
| 146 | 1-22-22217 18505 | მოცულობითი ასოები დიოდის შიგა განათ | 2015 | ცალი | 3300 | 1 | 3300 | 0 | | | | | ჩამოსაწერი |
| 147 | 1-22-22217 18488 | მაცივარი | 2012 | ცალი | 500 | 1 | 500 | 0 | | | | | |
| 148 | 1-22-22217 18492 | კარიბჭე | 2014 | ცალი | 1500 | 1 | 1500 | 0 | | | | | |
| 149 | 1-22-22217 18494 | ატრაქციონი საზამთრო | 2014 | ცალი | 4950 | 1 | 4950 | 0 | | | | | |
| 150 | 1-22-22217 18515 | ოთია იოსელიანის (თაბაშირის) ბიუსტი | 2016 | ცალი | 1625 | 1 | 1625 | 0 | | | | | ჩამოსაწერი |
| 151 | 1-22-22217 18517 | კედლის პანორამა (ლევან გოგიტიძე) | 2016 | ცალი | 700 | 1 | 700 | 0 | | | | | |
| 152 | 1-22-2101 18484 | კულტივატორი ჰსდიგ-1058 პარკი | 2012 | ცალი | 2300 | 1 | 2300 | 0 | | | | | |
| 153 | 1-22-2101 18485 | კულტივატორი XS 980 პარკი | 2015 | ცალი | 1450 | 1 | 1450 | 0 | | | | | |
| 154 | 1-22-2101 18483 | ა/მ დაიჰაცუ პარკი | 2000 | ცალი | 414.9 | 1 | 414.9 | 0 | | | | | ინახება მერიის ტერიტორია ზე |
| 155 | 1-22-2101 18486 | ავტომობილი CHERVOLET CRUSE პარკი | 2002 | ცალი | 3311.16 | 1 | 3311.16 | 0 | | | | | ინახება მერიის ტერიტორია ზე |
| 156 | 1-22-1302 18480 | გადმოხურული (სახურავი) პარკი | 2014 | ცალი | 1100 | 1 | 1100 | 0 | | | | | |
| | | ჯამი | | | | 38 | 49379.84 | 0 | 7 | 0 | 0 | 0 | |

ა(ა)იპ კულტურულ,სახელოვნებო,საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების მმართველი: ვაჟა [illegible]

ახლად დაფუძნებული არასამეწარმეო/არაკომერციული/იურიდიული პირის ,, ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეა" - სათვის გადასაცემი არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების უწყისი

| | ანგარიში + | დასახელება | წელი | ზომის ერთეული | ფასი | ფაქტ. ოდენობა | | ნარჩენი ღირებულება | დანაკლისი | | ზედმეტობა | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | რაოდენობა | თანხა | | რაოდ | თანხა | რაოდ | თანხა | |
| | 1-22-1200 | არასაცხოვრებელი შენობები | | | | | | | | | | | |
| 1 | 1-22-1218151 | ბოტ. ადმინისტრაციული შენობა 1 | | | 160000 | 1 | 160000 | 153268.19 | | | | | |
| 2 | 1-22-1218152 | ბოტ. ისტორიული შენობა | | | 135000 | 1 | 135000 | 121500 | | | | | |
| 3 | 1-22-1218157 | ბოტ. იმერული ოდა | | | 17158 | 1 | 17158 | 14968.7 | | | | | |
| 4 | 1-22-1218474 | ადმინისტრაციული შენობა პარკი | 1937 | ცალი | 17818 | 1 | 17818 | 13958.26 | | | | | |
| 5 | 1-22-1218475 | საზოგადოებრივი ტუალეტის შენობა პარკი | 2011 | ცალი | 5000 | 1 | 5000 | 3979.88 | | | | | |
| | | ჯამი | | | 334976 | 5 | 334976 | 307675.03 | | | | | |
| | 1-22-1301 | სხვა ნაგებობები | | | | | | | | | | | |
| 1 | 1-22-1301 18148 | ბ. ამფითეატრი | | ცალი | 16785.7 | 1 | 16785.74 | 4599.29 | | | | | |
| 2 | 1-22-1301 18149 | ბ. აუზი მრგვალი | | ცალი | 2453 | 1 | 2453 | 1778.4 | | | | | |
| 3 | 1-22-1301 18150 | ბ. ორანჟერია | | ცალი | 2719.37 | 1 | 2719.37 | 2270.68 | | | | | |
| 4 | 1-22-1301 18158 | სამლოცველო | | ცალი | 2581 | 1 | 2581 | 1502.42 | | | | | |
| 5 | 1-22-1301 18159 | საპირფარეშო | | ცალი | 3214.49 | 1 | 3214.49 | 2613.36 | | | | | |
| 6 | 1-22-1301 18160 | მრავალფუნქციური ხის სახლი | | ცალი | 10856.6 | 1 | 10856.55 | 7871.02 | | | | | |
| 7 | 1-22-1301 18161 | ჭა | | ცალი | 900 | 1 | 900 | 652.5 | | | | | |
| 8 | 1-22-1301 18162 | მრავალფუნქციური ხის სახლი 2 | | ცალი | 6424.23 | 1 | 6424.23 | 4818.15 | | | | | |
| 9 | 1-22-1301 18163 | ლოგე ნინა მხიდან | | მეტრი | 56.817 | 60 | 3409.02 | 2113.61 | | | | | |
| 10 | 1-22-1301 18164 | მოაჯირები ამფითეატრის გასწვრივ | | მეტრი | 26 | 17 | 442 | 150.29 | | | | | |
| 11 | 1-22-1301 18165 | ამფითეატრის განათების მოწყობა | | ცალი | 1006 | 1 | 1006 | 342.02 | | | | | ჩამოსაწერი |
| 12 | 1-22-1301 18166 | სალოცავის განათების მოწყობა | | ცალი | 425.6 | 1 | 425.6 | 263.89 | | | | | ჩამოსაწერი |
| 13 | 1-22-1301 18167 | ორანჟერეას განათების მოწყობა | | ცალი | 2763.63 | 1 | 2763.63 | 2349.11 | | | | | |
| 14 | 1-22-1301 18168 | აუზი მრგვალი განათების მოწყობა | | ცალი | 262 | 1 | 262 | 196.5 | | | | | |
| 15 | 1-22-1301 18169 | გზები ზედა პარკში | | ცალი | 14353 | 1 | 14353 | 1047.1 | | | | | |

3. [signature] [stamp: 412678348]

08 საცნობარო მუხლი ამორტიზირებული ძირითადი აქტივები

| | ანგარიში + | დასახელება | წელი | ზომის ერთეული | ფასი | ფაქტ. ოდენობა | | ნარჩენი ღირებულება | დანაკლისი | | ზედმეტობა | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | რაოდენობა | თანხა | | რაოდ | თანხა | რაოდ | თანხა | |
| 1 | 1-22-1301 18231 | როზარიუმი | | ცალი | 26500 | 1 | 26500 | 0 | | | | | |
| | | ჯამი | | | 26500 | 1 | 26500 | 0 | | | | | |

ა(ა)იპ კულტურულ,სახელოვნებო,საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების მმართველი ვაჟა ჯულელი

# არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების" წ ე ს დ ე ბ ა

## თავი I . არასამეწარმეო /არაკომერციული / იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება".

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირი - „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება დაფუძნებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 ივნისის № 159 განკარგულებით და წარმოადგენს კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებების /სამუსიკო, ხელოვნების, ფოლკლორის, სახვითი ხელოვნების, მუზეუმების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, გალერეის, კულტურის ცენტრის და შემოქმედებითი სახლის ,,ჯარისკაცის მამა"/ გაერთიანებას.

2. გაერთიანება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის , საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საკრებულოსა და მერიის დებულებებისა და ამ წესდების საფუძველზე.

3. გაერთიანებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საკანცელარიო ტვიფრი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები ბანკში, არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის რეკვიზიტები.

4. გაერთიანების საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

5. გაერთიანების იურიდიული მისამართია: საქართველო, 4600, ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №1.

6. გაერთიანების ელექტრონული ფოსტის მისამართია art.qutaisi@gmail.com

### მუხლი 2. გაერთიანების მიზნები, ამოცანები, ფუნქციები

1. გაერთიანების მიზნები და ამოცანებია:

ა. ქალაქ ქუთაისში არსებული კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებების /სამუსიკო, ხელოვნების, ფოლკლორის, სახვითი ხელოვნების, მუზეუმების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, გალერეას, კულტურის ცენტრის და შემოქმედებითი სახლის ,,ჯარისკაცის მამა"/ შემდგომში „ფილიალის" საქმიანობის ორგანიზება, ხელშეწყობა და კოორდინაცია;

ბ. სასწავლო სახელოვნებო დაწესებულებათა სწავლების პროცესის სრულყოფისათვის ახალი საგანმანათლებლო პროგრამების, მეთოდებისა და საშუალებების მოძიება. გალერეასა და მუზეუმებში კულტურულ-საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების შემუშავება-დამტკიცება და მათი თანმიმდევრული კონტროლი;

გ. მოზარდების უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების დონის სამუსიკო განათლებით, მათი აღზრდა ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე;

დ. ხალხური ხელოვნების სხვადასხვა დარგის სწავლების ტრადიციული მეთოდოლოგიის დანერგვა, ტრადიციული, მაღალმხატვრული და ღირებული ხელოვნების განვითარება;

ე. მუზეუმებსა და გალერეაში კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, დაცვა, შესწავლა, ექსპონირება, პოპულარიზაცია და მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობა;

ვ. ადგილობრივ და საერთაშორისო ქსელში სპეციალური ვებგვერდის განთავსება;

ზ. ურთიერთობების დამყარება საქართველოსა და საზღვარგარეთის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათთან ხელშეკრულებებისა და გარიგებების დადება;

2. გაერთიანების ფუნქციებია:

ა. ფილიალების მართვისა და დაფინანსების პრინციპების განსაზღვრა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზების უზრუნველყოფა და აღჭურვა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე;

ბ. ფილიალებში სახელფასო, საოფისე და კომუნალური ხარჯების ორგანიზება;

გ. ფილიალების მიერ სტანდარტზემოთ მომსახურების გაწევაზე თანხმობის მიცემა;

დ. განსაკუთრებით ნიჭიერი ხელოვანების გამოვლენა და მათი პროფესიული განვითარებისათვის ხელის შეწყობა;

ე. სამუზეუმო საქმიანობის მართვა და სამუზეუმო ექსპონატების დაცვის უზრუნველყოფა;

ვ. მუზეუმის საცავებში /დეპოზიტარიუმებში/ დაცული სამუზეუმო ექსპონატებით სარგებლობის წესის განსაზღვრა;

ზ. მუზეუმების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა და ფონდ-საცავებში ექსპონატთა დაცვისათვის საუკეთესო პირობების შექმნა;

თ. საგამოფენო სივრცეების მოწყობა ახალი სტანდარტებით;

ი. ეკოლოგიურ-შემეცნებითი ტურიზმისათვის ხელშეწყობა;

კ. საერთაშორისო კავშირების დამყარება ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებისათვის;

ლ. მოსწავლეთა სურვილის, მშობელთა, ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციების მოთხოვნების და ეროვნულ-კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით პროგრამების შემუშავება;

3. გადაწყვეტილებები /უძრავი ქონების შეძენა-გასხვისება, დატვირთვა, სესხი, თავდებობა/, რომლებიც სცილდება გაერთიანების საქმიანობის ფარგლებს, ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით.

**მუხლი 3. გაერთიანების სტრუქტურა და მართვა**

1. გაერთიანებას ხელმძღვანელობს მმართველი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

2. გარდა მმართველისა, გაერთიანების სტრუქტურა მოიცავს გაერთიანების ადმინისტრაციას, საქმისწარმოებისა და საარქივო საქმეს, ბუღალტერიისა და შესყიდვების განყოფილებას, იურიდიულ საკითხთა, ადამიანური რესურსების მართვისა და სამუშაო

დროის აღრიცხვის განყოფილებას, მონიტორინგის განყოფილებას, კულტურის განყოფილებას, განათლების განყოფილებასა და მატერიალურ-ტექნიკურ განყოფილებას, ასევე გაერთიანების შერეულ კამერულ გუნდს და სასულე ორკესტრს.

3. გაერთიანება შედგება ფილიალებისაგან, რომელთაც ხელმძღვანელობს ფილიალის დირექტორი და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების მმართველი.

4. გაერთიანების ფილიალებია:

4.1.მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი-ქ.ქუთაისი, წერეთლის ქ. №30

4.2. მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის № 1 სამუსიკო სკოლა - ქ.ქუთაისი, წერეთლის მე- 2 ჩიხი № 2

4.3. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის №2 სამუსიკო სკოლა-ქ.ქუთაისი, ტაბიძის ქ. № 58

4.4. ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №3 სამუსიკო სკოლა-ქ.ქუთაისი, დადიანის ქ. №11

4.5. ნოდარ გაბუნიას სახელობის №4 სამუსიკო სკოლა- ქ.ქუთაისი, გუგუნავას ქ. №15

4.6. დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეა-ქ.ქუთაისი, რუსთაველის ქ. №8

4.7. ზურაბ ჯავახაძის სახელობის სპორტის მუზეუმი-ქ.ქუთაისი, კოლუმბია მისურის ქუჩა №3

4.8. ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი - ქ.ქუთაისი, ვარლამიშვილის №25;

4.9. დავით მხეიძის სახელობის ფოტო-კინო-მატეანეს მუზეუმი- ქ.ქუთაისი, ნიუპორტის №7

4.10. საბრძოლო დიდების ეროვნული მუზეუმი- ქ.ქუთაისი, ბროსეს ქუჩა №21

4.11 .გიორგი დარახველიძის სახელობის ხელოვნების სკოლა- ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №105;

4.12. გიორგი მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლა- ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №105;

4.13. აკაკი ვასაძის სახელობის ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლებელი-ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №105;

4.14. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე- ქ.უთაისი, თამარ მეფის ქუჩა №105;

4.15. კულტურის ცენტრი- ქ.ქუთაისი, სოლომონ პირველის ქუჩა№46ა;

4.16. შემოქმედებითი სახლი „ჯარისკაცის მამა"- ქ.ქუთაისი, ხახანაშვილის ქუჩა №14

5. გაერთიანებასთან ფუნქციონირებს სათათბირო ორგანო-საბჭო, რომელიც შედგება მმართველის, მმართველის მოადგილეების, ფილიალების დირექტორების, საჭიროების შემთხვევაში მმართველის მიერ მოწვეული დარგის სპეციალისტებისაგან, საბჭოს ქმნის მმართველი. საბჭოს სხდომების მოწვევის წესი და პერიოდულობა განისაზღვრება მმართველის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. გაერთიანების მმართველი:

ა. წარმოადგენს გაერთიანებას მესამე პირთან ურთიერთობაში და სასამართლოში, დებს გარიგებებს და გასცემს მინდობილობებს;

ბ. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ამტკიცებს გაერთიანების შინაგანაწესს, სტრუქტურას, საშტატო განრიგსა და სახელფასო განაკვეთს;

გ. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით მართავს გაერთიანების ქონებას და სახსრებს, პასუხისმგებელია სარგებლობაში არსებულ ქონებაზე, ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

დ. თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანებასა და ფილიალებში შტატით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომლებს და აგრძელებს მათთან სახელშეკრულებო ურთიერთობებს; იღებს გადაწყვეტილებას მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, კანონმდებლობით და წესდებით დადგენილი წესის შესაბამისად.

ე. კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტაციულ - სამართლებრივ აქტს;

ვ. განსაზღვრავს და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად წარუდგენს გაერთიანების ფილიალებში /სახელოვნებო - საგანმანათლებლო დაწესებულებებში/ მისაღებ ბავშვთა კონტინგენტს;

ზ. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, საბჭოსთან ერთად ადგენს ფილიალებში /სახელოვნებო-საგანმანათლებლო/ ფასიანი სწავლების და სტანდარტზემოთ მომსახურების საფასურს, მუზეუმებსა და გალერეაში დამთვალიერებელთათვის გადასახადის ოდენობას და თანხმობას აძლევს ფილიალებს აღნიშნული მომსახურების გაწევაზე;

თ. საბჭოზე შეიმუშავებს, განიხილავს და ამტკიცებს გაერთიანების სამუშაო გეგმას, სასწავლო-საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევით და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს;

ი. ანგარიშვალდებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

7. საბჭოს კომპეტენცია:

ა. გაერთიანების მმართველთან ერთად შეიმუშავებს გაერთიანების სამუშაო გეგმას, სწავლების შინაარსს, ხანგრძლივობასა და სასწავლო პროგრამას;

ბ. მმართველს წარუდგენს წინადადებებს ფილიალში მისაღებ ბავშვთა კონტინგენტის, საოფისე და კომუნალური ხარჯების ოდენობის შესახებ;

გ. მმართველთან ერთად სასწავლო-სააღმზრდელო და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესში შეაქვს ცვლილებები;

დ. მმართველთან ერთად განიხილავს გაერთიანების შინაგანაწესს, ხოლო მმართველი გაერთიანების შინაგანაწესს ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით;

ე. პროფესიული დონის ამაღლების მიზნით შეიმუშავებს და ამტკიცებს პროგრამებს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

8. გაერთიანების მმართველის მოადგილედ/მოადგილეებად, ადმინისტრაციის და განყოფილებების უფროსებად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი.

9. გაერთიანების თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების მქონე პირი, გამონაკლისს წარმოადგენს ტექნიკური თანამშრომელი, რომელიც შეიძლება იყოს პროფესიული ან საშუალო განათლებით.

მუხლი 4. გაერთიანების ქონება, ფინანსები

1. დასახული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად, გაერთიანებას გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. გაერთიანების საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხდება თვითმმართველი ქალაქის- ქუთაისის ბიუჯეტიდან.

3. გაერთიანების დაფინანსების წყაროებია:

ა. თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის ბიუჯეტი;

ბ. არასაბიუჯეტო წყაროს წარმოადგენს ფილიალებში /სახელოვნებო-საგანმანათლებლო/ ფასიანი სწავლების გადასახადიდან და სტანდარტზემოთ გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი, აგრეთვე გალერეადან, სამუზეუმო და კულტურის ცენტრის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;

გ. შემოწირულობები;

დ. სახელმწიფო გრანტები, სუბსიდიები და სხვა კანონიერი წყაროები;

ე. სამოქალაქო გარიგებით მიღებული შემოსავალი;

ვ. კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

ზ. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

მუხლი 5. გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

გაერთიანების რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

## თავი II. გაერთიანების ფილიალები

მუხლი 6. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების სტატუსი

1. სამუსიკო სასწავლებელი და სამუსიკო სკოლები, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო დაწესებულებები, სამართლებრივად წარმოადგენენ გაერთიანების ფილიალებს /შემდგომში- „ფილიალი"/, რომლებიც საქმიანობენ გაერთიანების წესდებით და არ წარმოადგენენ იურიდიულ პირს.

2. ფილიალს აქვს ბეჭედი, მისი გამოყენების ფარგლები განისაზღვრება გაერთიანების მმართველის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 7. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1. უზრუნველყოს მოზარდები საერთაშორისო სტანდარტების დონის სამუსიკო, სახელოვნებო, ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, სახვითი ხელოვნების განათლებით, აღზარდოს ისინი ქართული და მსოფლიო მუსიკალური, ქორეოგრაფიული, ფოლკლორული და სახვითი ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე;

2. მოიზიდოს განსაკუთრებული მუსიკალური, ქორეოგრაფიული, ფოლკლორული და სახვითი ხელოვნების ნიჭის მქონე მოზარდები და მისცეს მათ შესაბამისი განათლება;

3. გამოუმუშაოს მოზარდებს მაღალი საშემსრულებლო კულტურა, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები და უზრუნველყოს მათი სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვა, შემდგომი საფეხურის სამუსიკო ხელოვნების განათლების მისაღებად;

4. კოლექტიური მუზიცირების უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, შექმნას ყველა ტიპის საშემსრულებლო კოლექტივები, მოსწავლეთა და პედაგოგთა ბაზაზე;

5. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა საკონცერტო და საგასტროლო საქმიანობას;

6. უზრუნველყოს მოსწავლეთათვის სწავლის შესაბამისი პირობების შექმნა და ხელი შეუწყოს მათ ჩართვას ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში ;

7. უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების დონეზე სასწავლო საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება.

**მუხლი 8. სამუსიკო სასწავლებელსა და სამუსიკო სკოლებში, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება**

1. სამუსიკო სასწავლებელსა და სამუსიკო სკოლებში, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის სწავლების შინაარსი და ხანგრძლივობა, სწავლების შედეგებისა და მიღწევების შეფასების სისტემა განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების მიხედვით, საბჭოს მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების საფუძველზე.

2. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების სასწავლო პროცესში განსახორციელებელ ღონისძიებებს, რომელიც იწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ცვლილებებს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, შეიმუშავებს გაერთიანების საბჭო, მმართველთან ერთად.

3. სამუსიკო სასწავლებელში, სამუსიკო სკოლებსა და ხელოვნების სკოლაში მიიღებიან საქართველოს მოქალაქეები, ასევე საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები 6 წლის ასაკიდან, სამხატვრო სკოლაში მიღება ხდება 10 წლის ასაკიდან, ხოლო ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლებელში 16 წლის ასაკიდან. ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია როგორც უფროსი, ასევე უმცროსი ასაკის მოსწავლეთა მიღება.

4. სამუსიკო სასწავლებელსა და სამუსიკო სკოლებში, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებებში მიღება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

5. სამუსიკო სასწავლებელსა და სამუსიკო სკოლებში, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს მიმღები კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დირექტორის ბრძანებით. საბუთების ნუსხა და ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება შინაგანაწესით.

6. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების დირექტორებს უფლება აქვთ განსაზღვრული კონტინგენტის ზემოთ მოსწავლეები მიიღონ კონკურსის გარეშე. კონკურსის გარეშე მიღებული მოსწავლეები იხდიან სწავლების საფასურს, რომლის ოდენობასაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ადგენს გაერთიანების მმართველი, საბჭოსთან ერთად.

7. სამუსიკო სასწავლებელსა და სამუსიკო სკოლებში, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის ორგანიზების ძირითადი ფორმებია: ინდივიდუალური სწავლება, ჯგუფური გაკვეთილი და კლასგარეშე მუშაობა.

8. ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენისა და კონტროლის ფორმებია გაკვეთილზე გამოკითხვა, პერიოდული- ღია და დახურული კონცერტები, გამოფენები, საკონტროლო გაკვეთილები , ჩათვლები და გამოცდები.

9. სწავლის დამთავრებისას, გაიცემა დამთავრების დამადასტურებელი მოწმობა / დამტკიცებული ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით/, რომელსაც გასცემს ფილიალის დირექტორი მმართველთან შეთანხმებით.

10. სამუსიკო სასწავლებელსა და სამუსიკო სკოლებში, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებებში საკვანძო საკითხებზე, კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღების მიზნით, იქმნება პედაგოგიური საბჭო, რომელშიც შედის ყველა პედაგოგი და რომელსაც ხელმძღვანელობენ ფილიალის დირექტორები.

11. პედაგოგიური საბჭო ტარდება სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ოთხჯერ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, საჭიროების მიხედვით.

12. სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი, აისახება ა(ა)იპ გაერთიანების შინაგანაწესში, რომელსაც გაერთიანების საბჭოს წარდგინებით და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ამტკიცებს გაერთიანების მმართველი.

13. შინაგანაწესის შინაარსი:

ა. აღსაზრდელთა მიღებისა და გარიცხვის წესი და პირობები;

ბ. სწავლის ხანგრძლივობა;

გ. სასწავლო წლის ხანგრძლივობა;

დ. მშობლებისა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები;

ე. მეცადინეობის განრიგი;

ვ. აღსაზრდელთა მისაღები დოკუმენტების ნუსხა;

ზ. მშობელთა და მოსწავლეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი.

**მუხლი 9 . სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების მართვა და ხელმძღვანელობა**

1. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების საქმიანობას წარმართავს ფილიალის დირექტორი, რომელსაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების მმართველი, ამ წესდებითა და კანონით დადგენილი წესით.

2. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების დირექტორებად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი მუსიკალური განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს პროფესიული საქმიანობის, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი და სასწავლო შემოქმედებითი ორგანიზაციის უნარი.

3. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლის დირექტორი:

ა. ხელმძღვანელობს სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების საქმიანობას;

ბ. ხელმძღვანელობს სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს;

გ. ხელმძღვანელობს და უზრუნველყოფს სამუსიკო სასწავლებელსა და სამუსიკო სკოლებში სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის სწორად მართვას;

დ. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გაერთიანების მმართველთან შეთანხმებით, გამოსცემს ბრძანებებს;

ე. ხელმძღვანელობს საქმისწარმოებას , ანგარიშების დროულად მომზადებას და გაერთიანებაში წარდგენას;

ვ. აკომპლექტებს სამუსიკო სასწავლებელსა და სამუსიკო სკოლებს კონტინგენტით, ზრუნავს კონტინგენტის გაზრდაზე;

ზ. მშობლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად ამუშავებს და გაერთიანებაში შესათანხმებლად წარადგენს სტანდარტზემოთ და ფასიანი მომსახურების პროგრამებს;

თ. აფორმებს ხელშეკრულებას მოსწავლეთა მეურვეებთან ;

ი. იცავს ტექნიკური უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს, პასუხს აგებს სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების სანიტარულ მდგომარეობაზე;

კ. სამუსიკო სასწავლებელსა და სამუსიკო სკოლებში აწარმოებს სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგს;

ლ. ორგანიზებას უწევს სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების მუშაობას და პასუხისმგებელია მისი საქმიანობის ყველა მიმართულებაზე;

მ. გაერთიანების მმართველთან ერთად წყვეტს ყველა საკითხს, დაკავშირებულს სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების სამეურნეო საქმიანობასთან;

ნ. კონტროლს უწევს დამტკიცებული პროგრამების, კალენდარული გეგმებისა და სამუსიკო ღონისძიებათა ჩატარების გრაფიკის შესრულებას;

ო. გაერთიანების მმართველთან და პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით, განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების კონკრეტულ ეტაპისა და საათების ხანგრძლივობას, კვირეული დატვირთვის საათთა რაოდენობას;

პ. ხელმძღვანელობს პედაგოგიური საბჭოს საქმიანობას;

ჟ. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების დირექტორებს უფლება აქვს ჰქონდეს პედაგოგიური დატვირთვა.

4. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების ფილიალების დირექტორებს შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები.

5. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების ფილიალის დირექტორის მოადგილედ შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი მუსიკალური განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს პროფესიული საქმიანობის შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი და სასწავლო -შემოქმედებითი პროცესის ორგანიზაციის უნარი. მოადგილეს უფლება აქვს ჰქონდეს პედაგოგიური დატვირთვა.

6. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში:

ა. პასუხისმგებელია სასწავლო-შემოქმედებით პროცესზე;

ბ. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

7. სამუსიკო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ა. პასუხისმგებელია სასკოლო ტიპის ღონისძიებებზე;

ბ. ხელმძღვანელობს სამუსიკო სასწავლებლის პიარს;

გ. ორგანიზებას უწევს სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის სკოლისგარეშე ღონისძიებების ჩატარებას და არეგულირებს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებს.

**მუხლი 10. ხელოვნების , სამხატვრო და ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების მართვა და ხელმძღვანელობა**

1. ხელოვნების , სამხატვრო და ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებებში საქმიანობას წარმართავს ფილიალის დირექტორი, რომელსაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების მმართველი ამ წესდებით და კანონით დადგენილი წესით.

2. ხელოვნების , სამხატვრო და ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებებში დირექტორად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს პროფესიული საქმიანობის სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი და სასწავლო შემოქმედებითი ორგანიზაციის უნარი.

3. ფილიალის დირექტორი:

ა. ხელმძღვანელობს , სასწავლო დაწესებულებების საქმიანობას;

ბ. ხელმძღვანელობს , პედაგოგიურ საბჭოს;

გ. უზრუნველყოფს სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის სწორად წარმართვას;

დ. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გაერთიანების მმართველთან შეთანხმებით, გამოსცემს ბრძანებებს;

ე. ხელმძღვანელობს საქმისწარმოებას, ანგარიშების დროულად მომზადებას და გაერთიანებაში წარდგენას;

ვ. აკომპლექტებს სასწავლო დაწესებულებას და ზრუნავს კონტინგენტის გაზრდაზე;

ზ. მშობლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, საბჭოსთან ერთად ამუშავებს და გაერთიანებაში შესათანხმებლად წარადგენს სტანდარტზემოთ მომსახურების პროგრამებს;

თ. აფორმებს ხელშეკრულებას მოსწავლეთა მეურვეებთან;

ი. იცავს ტექნიკური უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს, პასუხს აგებს დაწესებულების სანიტარულ მდგომარეობაზე;

კ. აწარმოებს სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგს;

ლ. ორგანიზებას უწევს სასწავლო დაწესებულების მუშაობას და პასუხისმგებელია მისი საქმიანობის ყველა მიმართულებაზე;

მ. გაერთიანების მმართველთან ერთად წყვეტს ყველა საკითხს, დაკავშირებულს ფილიალის სამეურნეო საქმიანობასთან, ფილიალის სპეციფიკისა და კონტინგენტის გათვალისწინებით;

ნ. კონტროლს უწევს დამტკიცებული პროგრამების, კალენდარული გეგმებისა და სამუსიკო ღონისძიებათა ჩატარების კალენდარული გრაფიკის შესრულებას;

ო. გაერთიანების მმართველთან და პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით, განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების კონკრეტული ეტაპისა და საათების ხანგრძლივობას, კვირეული დატვირთვის საათთა ოდენობას;

პ. ხელოვნების, სამხატვრო და ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების დირექტორს უფლება აქვს ჰქონდეს პედაგოგიური დატვირთვა;

4. ხელოვნების, სამხატვრო და ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების ფილიალების დირექტორებს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში;

5. ხელოვნების, სამხატვრო და ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების დირექტორების მოადგილეებად შეიძლება დაინიშნოს შესაბამისი პროფილის უმაღლესი განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს პროფესიული საქმიანობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი და სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის ორგანიზაციის უნარი, მოადგილეს უფლება აქვს ჰქონდეს პედაგოგიური დატვირთვა;

6. ხელოვნების, სამხატვრო და ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში:

ა. პასუხისმგებელია სასწავლო-შემოქმედებით პროცესზე;

ბ. ხელოვნების, სამხატვრო და ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას;

გ. პასუხისმგებელია სასკოლო ტიპის ღონისძიებებზე;

დ. ორგანიზებას უწევს სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის ღონისძიებების ჩატარებას და არეგულირებს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებს.

**მუხლი 11. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების პედაგოგი, კონცერტმაისტერი, სასწავლო-დამხმარე თანამშრომელი**

1. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების პედაგოგად მუშაობის უფლება აქვს უმაღლესი ან პროფესიული მუსიკალური განათლების მქონე პირს იგი უნდა ეწეოდეს საქმიანობას დიპლომით მითითებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

2. ხელოვნების სკოლასა და ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლებელში კონცერტმაისტერად მუშაობის უფლება აქვს უმაღლესი, პროფესიული ან საშუალო განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და აკმაყოფილებს სასწავლო დაწესებულების მოთხოვნებს.

3. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების თანამშრომლებთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

4. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციით ან ფილიალის შინაგანაწესით.

**მუხლი 12. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა უფლება მოვალეობანი**

1. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეები უფლებამოსილნი არიან:

ა. ისარგებლონ სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების სასწავლო ინვენტარით, ძირითადი თუ დამხმარე ნაგებობებით;

ბ. მოითხოვონ მათ მიერ გაერთიანებასა და სამუსიკო სასწავლებლის, სამუსიკო სკოლების, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულება.

2. სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლების, ხელოვნების და სამხატვრო, ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეები ვალდებული არიან შეასრულონ გაერთიანების წესდებით, ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი 13. მუზეუმების და სახვითი ხელოვნების გალერეას სტატუსი

1. მუზეუმები და გალერეა სამართლებრივად წარმოადგენენ გაერთიანების ფილიალებს, რომლებიც საქმიანობენ გაერთიანების წესდებით და არ წარმოადგენენ იურიდიულ პირს.

2. მუზეუმებსა და გალერეას აქვს ბეჭედი, რომლის გამოყენების ფარგლები განისაზღვრება გაერთიანების მმართველის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 14. მუზეუმებისა და სახვითი ხელოვნების გალერეას მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

მუზეუმებისა და გალერეას მიზნები და ამოცანები:

ა. ფონდის შევსების მიზნით გაერთიანების თანხმობით შეიძინოს ან შემოწირულობის, საჩუქრის სახით შეკრიბოს ხელოვნების სხვადასხვა სახის ნიმუშები;

ბ. დაიცვას, მეცნიერულად შეისწავლოს და პოპულარიზაცია გაუწიოს აღნიშნულ კულტურულ ფასეულობებს;

გ. ხელი შეუწყოს კულტურული ტურიზმის განვითარებას;

დ. უზრუნველყოს გაერთიანების მმართველის ნებართვით და დადგენილი პრეისკურანტის საფუძველზე სათანადო ანაზღაურებით სამუზეუმო ექსპონატების ფოტო-კინო ფიქსაცია;

ე. აწარმოოს სამუზეუმო ექსპოზიციებისა და მუზეუმების ფონდის ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა.

ვ. სახვითი ხელოვნების გალერეა:

ვ.ა. წარმოადგენს თანამედროვე სახვითი ხელოვნების, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების მუზეუმს. ქართული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელ ნაწილს. რესპუბლიკური მნიშვნელობის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას. მისი მიზანია თანამედროვე სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციასთან ერთად წარმოაჩინოს ქუთაისისა და იმერეთის თანამედროვე მხატვრობის წვლილი საერთო კულტურულ მემკვიდრეობაში;

ვ.ბ. გალერეაში დაცული საგანძური წარმოადგენს ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას, სახელმწიფოს ეროვნული სიმდიდრის შემადგენელ ნაწილს, ერის მატერიალური და სულიერი კულტურის ერთობლიობას.

ზ. სპორტის მუზეუმი:

ზ.ა. ქართული სპორტის წარმატებების ამსახველი მასალების შეკრება, დაკომპლექტება, აღრიცხვა, შენახვა-დაცვა, შესწავლა, პოპულარიზაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

ზ.ბ. ეროვნული მემკვიდრეობის პრინციპების დაცვა, ჯანსაღი სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და დამკვიდრება;

ზ.გ. ქართულ სპორტთან დაკავშირებით, ნივთიერ მასალებთან ერთად ფოტო და კინო მასალების შეგროვება.

თ. საბრძოლო დიდების ეროვნული მუზეუმი:

თ.ა. საქართველოს ისტორიული საბრძოლო ხელოვნების განვითარების უმთავრესი საფეხურის ასახვა, ქუთაისელთა წვლილის წარმოჩენა ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში. საქართველოს ეროვნული არმიის მშენებლობის პროცესისა და ქუთაისელთა მონაწილეობის ასახვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გამართულ საბრძოლო ოპერაციებში.

თ.ბ. მიმოხილვითი, თემატური ექსკურსიების, კონსულტაციების, საზეიმო შეხვედრების ჩატარება ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებთან.

ი. ფოტო-კინო მატიანეს მუზეუმი:

ი.ა. ფოტო-კინო საშუალებებით ქუთაისისა და მის შემოგარენში მომხდარი ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენის გადაღება;

ი.ბ. ქუთაისში არსებული ფაქტებისა და მოვლენების ამსახველი მასალების შეგროვება;

ი.გ. ფოტო-კინო ფონდების შედგენა;

ი.დ. ქალაქ ქუთაისში ფოტოხელოვნების განვითარების ეტაპების შესწავლა, გამოკვლევა.

კ. ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი/კულტურული მემკვიდრეობის უკვდავი ძეგლი/:

კ.ა. ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მემორიალური ექსპოზიციის მეშვეობით, დიდი ქართველი კომპოზიტორის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია;

კ.ბ. ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიული და თანამედროვე მოვლენების ამსახველი მასალების მოპოვება- შეგროვება;

კ.გ. მემორიალური პირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა.

**მუხლი 15. მუზეუმებსა და სახვითი ხელოვნების გალერეაში სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება**

1. მუზეუმებსა და გალერეაში სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით სამეცნიერო საბჭოს მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე;

2. მუზეუმებისა და გალერეას სამუშაო პროცესში განსახორციელებელ ცვლილებებს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, შეიმუშავებს გაერთიანების საბჭო, მმართველთან ერთად;

3. მუზეუმებისა და გალერეას საკვანძო საკითხებზე, კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღების მიზნით, იქმნება სამეცნიერო საბჭო, რომელშიც შედის თანამშრომლები და რომელსაც ხელმძღვანელობს ფილიალის დირექტორი;

4. სამეცნიერო საბჭო ტარდება წელიწადის განმავლობაში, არანაკლებ ოთხჯერ. ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროების მიხედვით.

5. სამეცნიერო საბჭო:

ა. ახორციელებს მუზეუმებისა და გალერეას შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობას. ბ. მუზეუმებისა და გალერეას პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, პერიოდულად ორგანიზებას უწევს ტრენინგებს.

6. შინაგანაწესის შინაარსი:

ა. მუზეუმებისა და გალერეას მუშაობის განრიგი;

ბ. გამოფენები, საგანმანათლებლო პროგრამები, გამოცემები;

გ. მუზეუმებსა და გალერეაში შესასვლელი ბილეთის ფასი;

დ. დაშვებული შეღავათები.

**მუხლი 16. მუზეუმებისა და სახვითი ხელოვნების გალერეას მართვა და ხელმძღვანელობა**

1. მუზეუმებისა და სახვითი ხელოვნების გალერეას საქმიანობას წარმართავს ფილიალის დირექტორი, რომელსაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების მმართველი ამ წესდებით და კანონით დადგენილი წესით.

2. მუზეუმებსა და გალერეაში დირექტორად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი და ორგანიზაციული საქმიანობის უნარჩვევები;

3. ფილიალის დირექტორი:

ა. ხელმძღვანელობს მუზეუმების და გალერეას საქმიანობას;

ბ. ხელმძღვანელობს მუზეუმების და გალერეას სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას;

გ. ხელმძღვანელობს და უზრუნველყოფს მუზეუმებსა და გალერეაში სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესის სწორად წარმართვას;

დ. ხელმძღვანელობს საქმისწარმოებას, ანგარიშების დროულად მომზადებას და გაერთიანებაში წარდგენას;

ე. დამატებითი დანახარჯების ასანაზღაურებლად, რაც გამოწვეულია ფასების, ტარიფებისა და ხელფასების ზრდით , წარადგენს წინადადებებს გაერთიანების მმართველთან განსახილველად;

ვ. იცავს ტექნიკური უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს, პასუხს აგებს მუზეუმების და გალერეას სანიტარულ მდგომარეობაზე;

ზ. მუზეუმებსა და გალერეაში აწარმოებს სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგს ;

თ. ორგანიზებას უწევს მუზეუმების და გალერეას მუშაობას და პასუხისმგებელია მისი საქმიანობის ყველა მიმართულებაზე;

ი. გაერთიანების მმართველთან ერთად წყვეტს ყველა საკითხს დაკავშირებულს მუზეუმებისა და გალერეას სამეურნეო საქმიანობასთან;

კ. გაერთიანების მმართველთან და სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით , განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს;

ლ. კონტროლს უწევს დამტკიცებული პროგრამების, კალენდარული გეგმების გრაფიკის შესრულებას;

მ. მუზეუმებისა და გალერეას ფილიალების დირექტორებს ჰყავთ მოადგილეები, რომლებიც ცვლიან დირექტორს არყოფნის შემთხვევაში;

ნ. მუზეუმებისა და გალერეას დირექტორის მოადგილედ შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფილით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი.

**მუხლი 17. მუზეუმებისა და სახვითი ხელოვნების გალერეას თანამშრომელი**

1. მუზეუმებისა და გალერეას თანამშრომლად მუშაობის უფლება აქვს უმაღლესი ან პროფესიული განათლების მქონე პიროვნებას, იგი უნდა ეწეოდეს საქმიანობას დიპლომით მითითებული კვალიფიკაციის შესაბამისად. ტექნიკური პერსონალი შესაძლებელია იყოს საშუალო განათლებით.

2. მუზეუმებისა და გალერეას თანამშრომლებთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

3. მუზეუმებისა და გალერეას თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციით ან ფილიალის შინაგანაწესით.

**მუხლი 18. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სტატუსი**

1. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე სამართლებრივად წარმოადგენს გაერთიანების ფილიალს, რომელიც საქმიანობს გაერთიანების წესდებით და არ არის იურიდიული პირი.

2. ფილიალს აქვს ბეჭედი, რომლის გამოყენების ფარგლები განისაზღვრება გაერთიანების მმართველის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

**მუხლი 19. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მიზნები და ამოცანები**

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მიზნები და ამოცანებია:

ა. მოზარდის შემეცნებითი, საგანმანათლებლო, ფიზიკური და აღმზრდელობითი პროცესის განხორციელება;

ბ. პიროვნების ინდვიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისათვის მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. შემოქმედებითი ნიჭისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრება, მათი ინტელექტუალური და ესთეტიკური უნარ-ჩვევების ამაღლება;

გ. მოზარდის თავისუფალი დროის სწორი მართვა, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის, მათ მიერ მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის, პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვისათვის ხელის შეწყობა, მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა;

დ. კონკურსების, ფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების საშუალებით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა და წარმოჩენა;

ე. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში მიიღებიან 6-18 წლის ასაკის სკოლის მოსწავლეები, ცალკეულ შემთხვევაში დასაშვებია უმცროსი ასაკის ბავშვის მიღება;

ვ. პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად, შეიმუშავებს თავისი საქმიანობის პროგრამებს მოსწავლეთა სურვილის, ოჯახის, ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციების მოთხოვნების, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებისა და ეროვნულ-კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით.

ზ. პროგრამის შესატყვისად, ასაკის გათვალისწინებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში იქმნება სხვადასხვა სახის გაერთიანებები/წრე, სექცია, კლუბი, სტუდია, ანსამბლი, თეატრი და სხვა/ჰუმანიტარული, ტექნიკურ და ზუსტ მეცნიერებათა, მხარეთმცოდნეობისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ხელოვნებათმცოდნეობის;

თ. ორგანიზებას უკეთებს და ატარებს ღონისძიებებს. ქმნის მოსწავლეებისა და მშობლებისათვის ერთობლივი შრომისა და დასვენების ხელსაყრელ პირობებს. არდადეგების პერიოდში შეუძლია გახსნას პროფილური ბანაკები და მოაწყოს ტურისტული ტურები.

**მუხლი 20. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შემეცნებითი, სასწავლო აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება**

1. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შემეცნებითი, სასწავლო აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე.

2. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სამუშაო პროცესში განსახორციელებელ ცვლილებებს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, შეიმუშავებს გაერთიანების საბჭო, მმართველთან ერთად.

3. შემეცნებითი, სასწავლო აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესი აისახება ა(ა)იპ გაერთიანების შინაგანაწესში, რომელსაც გაერთიანების საბჭოს წარდგინებით და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ამტკიცებს გაერთიანების მმართველი.

4. შინაგანაწესის შინაარსი:

ა. აღსაზრდელთა მიღებისა და გარიცხვის წესი და პირობები;

ბ. ფილიალში სწავლის ხანგრძლივობა;

გ. სასწავლო წლის ხანგრძლივობა;

დ. მშობლებისა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები;

ე. მეცადინეობის განრიგი;

ვ. აღსაზრდელთა მისაღები დოკუმენტების ნუსხა;

ზ. მშობელთა და მოსწავლეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი;

თ. საგანმანათლებლო პროგრამები, გამოცემები.

**მუხლი 21. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მართვა და ხელმძღვანელობა**

1. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის საქმიანობას წარმართავს ფილიალის დირექტორი, რომელსაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების მმართველი ამ წესდებითა და კანონით დადგენილი წესით.

2. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი და ორგანიზაციული საქმიანობის უნარ-ჩვევები.

3. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი:

ა. ხელმძღვანელობს ფილიალის საქმიანობას;

ბ. მონაწილეობს ფილიალის პედაგოგიურ საბჭოს მუშაობაში;

გ. ხელმძღვანელობს და უზრუნველყოფს ფილიალში შემეცნებითი, სასწავლო აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის სწორად წარმართვას;

დ. ხელმძღვანელობს საქმისწარმოებას, ანგარიშების დროულად მომზადებას და გაერთიანებაში წარდგენას;

ე. იცავს ტექნიკური უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს, პასუხს აგებს ფილიალის სანიტარულ მდგომარეობაზე;

ვ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში აწარმოებს შემეცნებითი, სასწავლო აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგს;

ზ. ორგანიზებას უწევს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მუშაობას და პასუხისმგებელია მისი საქმიანობის ყველა მიმართულებაზე;

თ. გაერთიანების მმართველთან ერთად წყვეტს ყველა საკითხს, დაკავშირებულს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სამეურნეო საქმიანობასთან, ფილიალის სპეციფიკისა და კონტინგენტის გათვალისწინებით;

ი. კონტროლს უწევს დამტკიცებული პროგრამებისა და კალენდარული გეგმების გრაფიკის შესრულებას;

კ. კომპეტენციის ფარგლებში, გაერთიანების მმართველთან შეთანხმებით, გამოსცემს ბრძანებებს;

ლ. გაერთიანების მმართველთან და პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით, განსაზღვრავს შემეცნებით, სასწავლო აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობას;

მ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორს ჰყავს მოადგილე რომელიც ცვლის დირექტორს არყოფნის შემთხვევაში;

ნ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორის მოადგილედ შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს მუშაობის 3 წლის საქმიანობის სტაჟი და ორგანიზაციული უნარ-ჩვევები.

### მუხლი 22. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის თანამშრომელი

1. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის თანამშრომლად მუშაობის უფლება აქვს პიროვნებას რომელსაც აქვს შესაბამისი პროფილის უმაღლესი ან პროფესიული განათლება. იგი უნდა ეწეოდეს საქმიანობას დიპლომით მითითებული კვალიფიკაციის შესაბამისად. ტექნიკური პერსონალი შესაძლებელია იყოს საშუალო განათლებით.

2. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის თანამშრომლებთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

3. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციით ან ფილიალის შინაგანაწესით.

### მუხლი 23. კულტურის ცენტრის სტატუსი

1. კულტურის ცენტრი სამართლებრივად წარმოადგენს გაერთიანების ფილიალს, რომელიც საქმიანობს გაერთიანების წესდებით და არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

2. ფილიალს აქვს ბეჭედი, რომლის გამოყენების ფარგლები განისაზღვრება გაერთიანების მმართველის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

**მუხლი 24. კულტურის ცენტრის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები.**

კულტურის ცენტრის მიზნები და ამოცანებია:

ა. ხელოვნების დარგების განვითარების და კულტურულ-შემეცნებითი მოღვაწეობის ხელშეწყობა, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების შეგროვების, შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის ობიექტური პირობების შექმნა.

ბ. მნიშვნელოვანი პროექტების, ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების მოყვარულთა გაერთიანებების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა, გართობისა და დასვენებისათვის სათანადო ბაზის შექმნა.

გ. გაერთიანების თანხმობით პიროვნების კულტურული მომსახურეობითა და შემოქმედებითი საქმიანობით დაკავებულ დაწესებულებებთან თანამშრომლობა და მართვის ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ წესდებით დასახული მიზნების მიღწევას.

დ. ქართული და მსოფლიო კულტურის და ხელოვნების პოპულარიზაცია, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ე. კონკურსების, ფესტივალების და სხვა ღონისძიებების საშუალებით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული პოროვნებების გამოვლენა და წარმოჩენა.

ვ. კულტურისა და ხელოვნების სფეროში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებული პრიორიტეტების წარმოჩენა, გაზიარება და განვითარება კულტურულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ინტეგრაციის გზით.

**მუხლი 25. კულტურის ცენტრის შემეცნებითი, კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება**

1. კულტურის ცენტრის შემეცნებითი კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სამუშაო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად.

2. კულტურის ცენტრის სამუშაო პროცესში განსახორციელებელ ცვლილებებს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით შეიმუშავებს გაერთიანების საბჭო, მმართველთან ერთად.

3. შინაგანაწესის შინაარსი:

ა. კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ. სამუშაოს ხანგრძლივობა;

გ. უფლება-მოვალეობები;

დ. ბილეთის ფასი;

ე. დაშვებული შეღავათები.

**მუხლი 26. კულტურის ცენტრის მართვა და ხელმძღვანელობა**

1. კულტურის ცენტრის საქმიანობას წარმართავს ფილიალის დირექტორი, რომელსაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ვადიანი შრომითი

ხელშეკრულებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების მმართველი ამ წესდებითა და კანონით დადგენილი წესით.

2. კულტურის ცენტრის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი და ორგანიზაციული საქმიანობის უნარ-ჩვევები.

3. კულტურის ცენტრის დირექტორი:

ა. ხელმძღვანელობს ფილიალის საქმიანობას;

ბ. მონაწილეობს გაერთიანების საბჭოს მუშაობაში;

გ. ხელმძღვანელობს და უზრუნველყოფს ფილიალში შემეცნებითი პროცესის სწორად წარმართვას;

დ. ხელმძღვანელობს საქმისწარმოებას, ანგარიშების დროულად მომზადებას და გაერთიანებაში წარდგენას;

ე. იცავს ტექნიკურ უსაფრთხოებას და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს, პასუხს აგებს ფილიალის სანიტარულ მდგომარეობაზე;

ვ. კულტურის ცენტრში აწარმოებს სამუშაო პროცესის მონიტორინგს;

ზ. ორგანიზებას უწევს კულტურის ცენტრის მუშაობას და პასუხისმგებელია მისი საქმიანობის ყველა მიმართულებაზე;

თ. გაერთიანების მმართველთან ერთად წყვეტს ყველა საკითხს, დაკავშირებულს კულტურის ცენტრის სამეურნეო საქმიანობასთან, ფილიალის სპეციფიკის გათვალისწინებით;

ი. კონტროლს უწევს დამტკიცებული პროგრამების შესრულებას;

კ. კულტურის ცენტრის დირექტორს ჰყავს მოადგილე, რომელიც ცვლის დირექტორს არყოფნის შემთხვევაში;

ლ. კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილედ შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს მუშაობის 3 წლის სტაჟი და ორგანიზაციული საქმიანობის უნარ-ჩვევები.

### მუხლი 27. კულტურის ცენტრის თანამშრომელი

1. კულტურის ცენტრის თანამშრომლად მუშაობის უფლება აქვს პიროვნებას უმაღლესი ან პროფესიული განათლებით. ტექნიკური პერსონალი შესაძლებელია იყოს საშუალო განათლებით.

2. კულტურის ცენტრის თანამშრომლებთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

3. კულტურის ცენტრის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციით ან ფილიალის შინაგანაწესით.

### მუხლი 28. შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა" სტატუსი

1. შემოქმედებითი სახლი „ჯარისკაცის მამა" წარმოადგენს გაერთიანების ფილიალს, რომელიც საქმიანობს გაერთიანების წესდებით და არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

2. შემოქმედებით სახლს „ჯარისკაცის მამა" აქვს ბეჭედი, რომლის გამოყენების ფარგლები განისაზღვრება გაერთიანების მმართველის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 29 · შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა“ მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა“ მიზნები და ამოცანებია:

ა. მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

ბ. ქართული კინოს პოპულარიზაციის მიზნით გამოფენის მოწყობა, ქართული ფილმების კინოფესტივალებზე წარდგენა;

გ. ფილმებისათვის სცენარების მოძიება, კონკურსის გამოცხადება ფილმებისთვის სცენარის შესარჩევად;

დ. ფილმების გადაღება, მონტაჟი, გახმოვანება;

ე. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება უცხოეთის კინოსტუდიებთან და მსოფლიო კინოს პოპულარიზაცია, უცხოური ფილმების სალონური ჩვენების მოწყობა.

მუხლი 30. შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა" მართვა და ხელმძღვანელობა

1. შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა“ საქმიანობას წარმართავს გაერთიანების ფილიალის დირექტორი, რომელსაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების მმართველი ამ წესდებითა და კანონით დადგენილი წესით.

2. შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა“ დირექტორად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი და ორგანიზაციული საქმიანობის უნარ-ჩვევები.

3. შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა" დირექტორი:

ა. ხელმძღვანელობს შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა“ საქმიანობას;

ბ. ხელმძღვანელობს და უზრუნველყოფს ფილიალში შემეცნებითი პროცესის სწორად წარმართვას;

გ. ხელმძღვანელობს საქმისწარმოებას, ანგარიშების დროულად მომზადებას და გაერთიანებაში წარდგენას;

დ. დამატებითი დანახარჯების ასანაზღაურებლად, რაც გამოწვეულია ფასების, ტარიფებისა და ხელფასების ზრდით, წარადგენს წინადადებებს გაერთიანების მმართველთან განსახილველად;

ე. იცავს ტექნიკურ უსაფრთხოებას და სანიტარულ - ჰიგიენურ მოთხოვნებს, პასუხს აგებს სანიტარულ მდგომარეობაზე;

ვ. ორგანიზებას უწევს შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა“ მუშაობას და პასუხისმგებელია მისი საქმიანობის ყველა მიმართულებაზე;

ზ. გაერთიანების მმართველთან ერთად წყვეტს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხს;

თ. შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა“ სამუშაო პროცესში განსახორციელებელ ცვლილებებს, შეიმუშავებს გაერთიანების მმართველთან ერთად;

ი. შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა“ დირექტორს ჰყავს მოადგილე, რომელიც ცვლის დირექტორს არყოფნის შემთხვევაში;

კ. შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა“ დირექტორის მოადგილედ შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს მუშაობის 3 წლის სტაჟი და ორგანიზაციული საქმიანობის უნარ-ჩვევები.

მუხლი 31. შემოქმედებითი სახლის ჯარისკაცის მამა" შემეცნებითი, კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

1. შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა" შემეცნებითი, კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სამუშაო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად.

2. შემეცნებითი, კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესი აისახება ა(ა)იპ გაერთიანების შინაგანაწესში, რომელსაც გაერთიანების საბჭოს წარდგინებით და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ამტკიცებს გაერთიანების მმართველი.

მუხლი 32. შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა" თანამშრომელი

1. შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა" თანამშრომლად მუშაობის უფლება აქვს უმაღლესი განათლების მქონე პიროვნებას, იგი უნდა ეწეოდეს საქმიანობას დიპლომით მითითებული კვალიფიკაციის შესაბამისად; ტექნიკური პერსონალი შესაძლებელია იყოს საშუალო განათლებით.

2. შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა" თანამშრომლებთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

3. შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა" თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციით ან ფილიალის შინაგანაწესით.

მუხლი 33. გაერთიანების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

გაერთიანების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

# არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

# „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი მედეა"-ს

# წესდება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეა" არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი (შემდგომ – ორგანიზაცია), რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

2. ეს წესდება წარმოადგენს ორგანიზაციის დამფუძნებელთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანმხვედრ ნებას და სავალდებულო ძალის მქონეა დამფუძნებლებისთვის.

3. ორგანიზაცია წარმოშობილად ითვლება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

4. ორგანიზაცია თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ორგანიზაციის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.

5. ორგანიზაციის ვალდებულებებისათვის მისი დამფუძნებელი, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) პასუხს არ აგებს.

6. ორგანიზაცია პასუხს არ აგებს თავისი დამფუძნებლების, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ვალდებულებებისთვის.

7. ორგანიზაციის მიზანია არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა, ამავდროულად ის უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, შემომწირველებს, აგრეთვე, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის დაუშვებელია. ორგანიზაცია უფლებამოსილია მისი საქმიანობის განსახორციელებლად შეიძინოს/მიიღოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, მათ შორის, შემოწირულობები.

8. ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება ორგანიზაციის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

9. ორგანიზაციას თავისი მიზნების მისაღწევად უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული.

10. ორგანიზაციის მიმართ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლით საქმიანი წერილისა და ვებგვერდისთვის დადგენილი წესები.

### მუხლი 2. ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები

1. ორგანიზაციის მიზნებია:

ა/. ბიომრავალფეროვნების შესწავლა ვდა კონსერვაცია, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე;

ბ/. მსოფლიოს სხვადასხვა ფლორისტული ოლქების მცენარეთა სახეობების კოლექციების შექმნა და არსებული კოლექციების მდგრადობის უზრუნველყოფა სამეცნიერო, საგანმანათლებო და რეკრეაციული მიზნით;

გ/. საქართველოში გავრცელებული ენდემური და მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე მცენარეთა სახეობებისა და კულტურული ფლორის ჯიშების გენეტიკური ბანკის შექმნა;

დ/. საქართველოს მოსახლეობაში არსებული ტრადიციული ბოტანიკური ცოდნის დოკუმენტირება და ეთნობოტანიკური მონაცემების ბაზის შექმნა;

ე/. სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებო და გარემოს დაცვის ორგანიზაციებთან ერთობლივი საქმიანობის წარმოება;

ვ/. საველე ექსპედიციების მოწყობა კოლექციების შესავსებად და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საწარმოებლად, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ;

ზ/. ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა, კონსერვაცია პოპულარიზაცია;

თ/. მცენარეთა ორანჟერეის მოდერნიზაცია, სანერგე და სასათბურე მეურნეობების შექმნა და განვითარება;

ი/. ბოტანიკური ცოდნის გავრცელება სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურის მომზადებითა და გამოცემით;

კ/. სამეცნიერო კონფერენციების, კულტურულ-საგანმანათლებო ღონისძიებებისა და გამოფენების მოწყობა ბოტანიკური ბაღის, ახალგაზრდობის პარკისა და ქუთაისის ცენტრალური ბულვარის ტერიტორიაზე;

ლ/. საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება ყველა ასაკობრივ ჯგუფსა და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობებზე ორიენტირებული ეკოლოგიური განათლების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით;

მ/. ეკოლოგიურ-შემეცნებითი ტურიზმის ხელშეწყობა;

ნ/. საერთაშორისო კავშირების დამყარება ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებისათვის;

ო/. მწვანე მშენებლობისათვის სარგავი მასალის წარმოება და რეალიზაცია;

პ/. ახალგაზრდების თავისუფალი დროის სწორი ორგანიზების, დასვენებისა და გაჯანსაღების ხელშეწყობა ბოტანიკური ბაღის, ახალგაზრდობის პარკისა და ქუთაისის ცენტრალური ბულვარის ტერიტორიაზე;

ჟ/. ბოტანიკური ბაღის, ახალგაზრდობის პარკისა და ქუთაისის ცენტრალური ბულვარის ტერიტორიების მოვლა-პატრონობა და კეთილმოწყობა.

2. ორგანიზაციის ამოცანებია:

ა/. ორგანიზება გაუწიოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების რეალიზებას;

ბ/. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

## მუხლი 3. დამფუძნებელთა მიერ ორგანიზაციის მართვა

1. ორგანიზაციის დამფუძნებელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი.

2. ორგანიზაციის დამფუძნებლის უფლებამოსილებას ერთპიროვნულად ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

3. დამფუძნებლის უფლებამოსილების ფარგლებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება წერილობით, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის - ბრძანების სახით.

4. ორგანიზაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელი, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც, განიხილას წლიურ შედეგებს და დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს.

5. დამფუძნებლის კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

ა/. ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ბ/. ორგანიზაციის მიერ ვალდებულების აღება, ქონების შეძენა/გასხვისება/უფლებრივად დატვირთვა;

გ/. ორგანიზაციის გაწევრიანება სხვა იურიდიულ პირებში ან მისი პარტნიორად/დამფუძნებლად შესვლა;

დ/. ორგანიზაციის წესდებაში ცვლილება/წესდების ახალი რედაქციის მიღება, შინაგანაწესის დამტკიცება;

ე/. ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა;

ვ/. ორგანიზაციის და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია კანონით დადგენილი წესით.

6. ორგანიზაციას მხოლოდ დამფუძნებლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისს თანხმობით, შეუძლია განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

ა/. უძრავი ქონების შეძენა , გასხვისება და დატვირთვა;

ბ/. სესხის აღება;

გ/. თავდებობა;

დ/. ორგანიზაციის საშტატო ნუსხის, საშტატო განრიგის, სახელფასო ფონდის, პრემიების, ჯილდოებისა და ფინანსური დახმარების, ასევე შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა/გაცემა;

ე/. სხვა გადაწყვეტილებები ორგანიზაციის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

## მუხლი 4. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

1. ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია მმართველი, რომელსაც ნიშნავს დამფუძნებელი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

2. დამფუძნებელი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ორგანიზაციის მმართველის დანიშვნის თაობაზე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

3. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში ორგანიზაციის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას. მმართველი თავის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და შინაგანაწესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.

4. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს ორგანიზაციის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. მმართველს აქვს ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ამასთან, თუ ორგანიზაციას ერთზე მეტი მმართველი ჰყავს, ისინი წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებენ სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

5. უფლებამოსილების ფარგლებში მმართველს აქვს უფლება ორგანიზაციის სახელით დადოს გარიგებები, აწარმოოს მოლაპარაკებები, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ/მოპასუხედ, მიიღოს ორგანიზაციაში თანამშრომლები, გააფორმოს მათთან ხელშეკრულება და გადაწყვიტოს საკადრო საკითხები. მმართველი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ ის მოქმედება, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მიზნებს და არ აყენებს მას ზიანს. იგი ვალდებულია ორგანიზაციის საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მმართველი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მმართველის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს სადამფუძნებლო შეთანხმებით.

6. დამფუძნებელს - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს მმართველი თანამდებობიდან შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე.

7. მმართველს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან. ამ შემთხვევაში, დირექტორი ვალდებულია დაიცვას ორგანიზაციასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები.

8. მმართველი ვალდებულია წელიწადში ერთხელ დამფუძნებელს - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს ორგანიზაციის საქმიანობის ანგარიში.

### მუხლი 5. ორგანიზაციის ფილიალი და მისი მართვა

1. ორგანიზაციას აქვს ფილიალი, რომლის სახელწოდებაა „ახალგაზრდობის პარკი და ქუთაისის ცენტრალური ბულვარი".

2. ორგანიზაციის ფილიალს „ახალგაზრდობის პარკი და ქუთაისის ცენტრალური ბულვარი"-ს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ორგანიზაციის მმართველი.

## მუხლი 6. ორგანიზაციის ქონება, ფინანსები და ანგარიშები

1. დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ორგანიზაციას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ორგანიზაციის დაფინანსების წყაროებია:

ა/. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, შემოწირულობა, გრანტები. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები;

ბ/. ფასიანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;

გ/. სახელმწიფო დაწესებულებებიდან მიღებული შემოსავალი;

დ/. ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ე/. დამხმარე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

3. მიღებული შემოსავლები საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე ხმარდება ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას და სხვა დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია.

4. ორგანიზაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ვალდებულია აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება. შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს

## მუხლი 7. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა, რეორგანიზაცია, შერწყმა და ლიკვიდაცია

1. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.

2. ორგანიზაციის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, ასევე, ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი/დამფუძნებელთა საერთო კრება.

4. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს კრედიტორთა მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს დამფუძნებლის/დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ განსაზღვრულ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს.

5. გადაწყვეტილება ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება ორგანიზაციის ლიკვიდაციის დაწყების შესახებ ინფორმაციის რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

6. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს საერთო კრება. ორგანიზაციის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) იგი ხელს შეუწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) იგი ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

7. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება დამფუძნებლებს, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის.

8. თუ დამფუძნებელმა/დამფუძნებელთა საერთო კრებამ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ ორგანიზაციას. თუ ასეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არ არსებობს ან შეუძლებელია მისი გამოვლენა, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

9. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ორგანიზაციის ლიკვიდაციას ახორციელებს (ახორციელებენ) სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია ორგანიზაციის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

## მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი